

მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურები
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები

პროექტი

I. შესავალი

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი¹ არის აკადემიური განათლების სტანდარტი, რომელიც მენეჯმენტის და მენეჯმენტის სწავლის სფეროს I და II საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისთვის განსაზღვრავს კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი სწავლის შედეგების მინიმალურ მოთხოვნებს, მათ მისაღწევად საჭირო სწავლება-სწავლისა და შეფასების მიდგომებს.

მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებელი აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი მენეჯმენტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ შეიძენს.²

მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლის მიზანია საბაკალავრო (I საფეხური) და სამაგისტრო (II საფეხური) საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, სტუდენტების მობილობის, მინიჭებული კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარების, მენეჯმენტის პროფესიის დაუფლებისა და დასაქმების მხარდაჭერა.

დარგობრივ მახასიათებელში აღწერილია მენეჯმენტის სწავლის სფერო, აღნიშნული სფეროს ბაკალავრისა და მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო სწავლის შედეგები, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სხვა დამატებითი ინფორმაცია. მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული დებულებები, გარდა სარეკომენდაციო ხასიათისა (სწავლა-სწავლებასთან, შეფასებასა და რესურსებთან მიმართებით), სავალდებულოა შესასრულებლად ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, სადაც ხორციელდება მენეჯმენტის საბაკალავრო ან/და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი უნდა დაიცვას ყველა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, სადაც ხორციელდება მენეჯმენტის საბაკალავრო/სამაგისტრო

¹დარგობრივი მახასიათებელი - შუალედური დოკუმენტი, რომელიც ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს საგანმანათლებლო პროგრამასთან აკავშირებს და რომლის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებისა და მოქნილობის უზრუნველყოფა. ის აღწერს სწავლის მინიმალურ შედეგებს, რომლებსაც შესაბამისი დონისა და სწავლის სფეროს/დარგის კვალიფიკაციის მფლობელმა უნდა მიაღწიოს.

²საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგების ჩამოყალიბება ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის გაერთიანების პრინციპით არ არის სავალდებულო.

საგანმანათლებლო პროგრამა. მენეჯმენტის დარგობრივ მახასიათებელს უნდა იცნობდეს პირი, თუ იგი მონაწილეობს მენეჯმენტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ან საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შემუშავებაში, განხილვასა და განხორციელებაში.

აღსანიშნავია, რომ თითოეული განმახორციელებელი თავად განსაზღვრავს სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამის დეტალურ შინაარსს, ასევე, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მონიტორინგი შესაძლებელია ჩატარდეს პერიოდულად, აკრედიტაციის და მასთან დაკავშირებული პროცესებისა და პროცედურების მეშვეობით.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- აბიტურიენტისთვის, რომელსაც სურს შეისწავლოს მენეჯმენტი;
- სტუდენტისთვის, რომელსაც აქვს ინტერესი, თუ რა კომპეტენციებს შეიძენს მენეჯმენტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ;
- დამსაქმებელისთვის, რომელიც გვიქმნის წარმოდგენას, თუ რა სახის კომპეტენციებს ითხოვს შრომის ბაზარი კურსდამთავრებულისგან და სურს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის კომპეტენციების შესახებ ინფორმაციის მიღება.

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადაა 5 წელი.

მენეჯმენტის დარგობრივი მახასიათებლის შექმნის საჭიროება განაპირობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, სწავლის სფეროების კლასიფიკატორისა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობამ.

II. სწავლის სფეროს აღწერა

მენეჯმენტი ორიენტირებულია ნებისმიერი ორგანიზაციის (კერძო, საჯარო, არასამეწარმეო და სხვ.) საქმიანობის მართვაზე, რომ არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციული გარემოდან გამომდინარე, შეზღუდვების პირობებში შესაძლებელი იყოს დასახული მიზნების მიღწევა. მისი მთავარი ამოცანაა ორგანიზაციაში თანამშრომლობის კოორდინაცია, რაც მოიცავს ორგანიზაციული პოლიტიკის შემუშავებასა და რესურსების სისტემატიზაციას, დაგეგმვას, ორგანიზებას, კონტროლს, კოორდინაციასა და ადამიანური რესურსების მოტივაციას ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად.

„ორგანიზაციები“ - ეს ცნება მოიცავს ორგანიზაციების შიდა ასპექტებს, ფუნქციებსა და პროცესებს, მათ შორის, მათ მრავალფეროვან ბუნებას, მიზნებს, სტრუქტურებს, დაინტერესებულ მხარეებს, მმართველობას, ოპერაციებსა და მენეჯმენტს, ინდივიდუალურ, კორპორაციულ ქცევასა და კულტურას, რომლებიც არსებობს როგორც ორგანიზაციის ფარგლებში, ისე ორგანიზაციებს შორისდა ზემოქმედებს მათ შიდა და გარე გარემოზე.

ცნება, „ორგანიზაციის გარე გარემო“ მოიცავს ეროვნული და საერთაშორისო ფაქტორების ფართო სპექტრს, მათ შორის, მაკროეკონომიკურ, გარემოსდაცვით, ეთიკურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ, კულტურულ, სოციოლოგიურ და ტექნოლოგიურ ფაქტორებს და მათ ზემოქმედებას ორგანიზაციების სტრატეგიაზე, ქცევასა და მენეჯმენტზე ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

ცნება, „ორგანიზაციის შიდა გარემო“ მოიცავს ორგანიზაციის შიდა ელემენტებს, მათ შორის, ორგანიზაციის თანამშრომლებს, მენეჯმენტს, სტრუქტურას, მიზნებს, ტექნოლოგიას და კულტურას, რაც განსაზღვრავს ორგანიზაციის შიგნით ადამიანთა ქცევას.

ცნება „მენეჯმენტი“ აერთიანებს პროცესებს, პროცედურებს, პოლიტიკასა და მეთოდებს, რომლებიც ორიენტირებულია ორგანიზაციის ეფექტურ და პასუხისმგებლობით მართვაზე. ის მოიცავს მართვის თეორიებს, მოდელს, სისტემებს, ამოცანებსა და როლებს, ორგანიზაციის ფარგლებში რაციონალურ ანალიზს, გადაწყვეტილების მიღების სხვა პროცესებს და გარე გარემოსთანმათ კავშირს.

მენეჯმენტის სასწავლო პროგრამები კვალიფიკაციის მფლობელისთვის უნდა უზრუნველყოფდეს თეორიულ, პრაქტიკულ ცოდნასა და უნარებს შემდეგ სფეროებში:

- ბაზრები - რესურსების, სასაქონლო და მომსახურების ბაზრების განვითარება და ოპერირება; მომხმარებლები: მომხმარებლების მოლოდინები, მომსახურება და მათზე ორიენტირებულობა; კონკურენტული გარემო, ბაზრის სტრუქტურა და ფირმების ქცევა;
- ფინანსები - ფინანსების წყაროები, გამოყენება და მართვა; ბუღალტრული აღრიცხვისა და ინფორმაციული სისტემების გამოყენება მართვასთან დაკავშირებულ ჭრილში;
- ადამიანები - ორგანიზაციის ფარგლებში ადამიანების მართვა-განვითარება, ქცევითი და ლიდერობის თეორიები და პრაქტიკა, ცნობიერების განვითარება მულტიკულტურულ ჭრილში;
- ოპერაციები - რესურსებისა და ოპერაციების მართვა; ინფორმაციული სისტემები - ინფორმაციული სისტემების შექმნა, მართვა, ექსპლუატაცია და მათი ზეგავლენა ორგანიზაციებზე;
- საკომუნიკაციო და ინფორმაციული ტექნოლოგიები - შესაბამისი მოქმედი საკომუნიკაციო და ინფორმაციული ტექნოლოგიების ცოდნა და გამოყენება ბიზნესსა და მენეჯმენტში;

• სტრატეგია - ცვალებადი გარემოს შესაბამისი სტრატეგიების შემუშავება დაინტერესებული მხარეების ინტერესების დასაკმაყოფილებლად შემდეგი მიმართულებით: მდგრადობა, ინტერნაციონალიზაცია და გლობალიზაცია, ეთიკა და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული მენეჯმენტი, ინოვაციები, შემოქმედებითობა, საწარმოს განვითარება, ცოდნისა და რისკების მართვა.

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს ზოგად მენეჯმენტში განათლების შინაარსს. თუმცა, არსებობს სხვა სფეროები, რომლებიც სპეციალიზებულ სასწავლო პროგრამებს შეესაბამება. განათლება ზოგად მენეჯმენტში, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს კონკრეტული სპეციალიზაციით, აუცილებელია ითვალისწინებდეს ფუნქციურ (მაგალითად, ადამიანური რესურსები, მცირე და საშუალო საწარმოების მართვა, მენეჯერული ეკონომიკა, ინოვაციები და სხვა აქტუალური საკითხები) და სექტორულ (მაგალითად, ჯანდაცვა, ხელოვნება, ზღვაოსნობა და ა.შ.) სპეციფიკას. საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებისას, ამ დოკუმენტის გათვალისწინების შემთხვევაში, შესაძლებელია სწავლის შედეგების კონკრეტულ ნაკრებთა აღწერა, რომლებიც ზემოხსენებული ცოდნის სფეროების სხვადასხვა სწავლის შედეგს აერთიანებს. ასეთი მიდგომის ფარგლებში, თითოეულიშესაძლო ფუნქციური ან სექტორული სპეციფიკაციის არსებობის შემთხვევაში მიმდინარეობს სპეციალიზებული სწავლება გამოყენების სფეროს გათვალისწინებით.

საბაკალავრო პროგრამები მენეჯმენტში უზრუნველყოფს ცოდნისა და უნარების ფართო სპექტრს მენეჯმენტის სოციალურ, ეკონომიკურ და ეთიკურ ასპექტებთან მიმართებით, რომლებიც მოიცავს მართვის თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულად გაცნობიერებას და, შესაბამის შემთხვევებში, უფრო ფართო, როგორც მომსახურეობის, ისე წარმოების სფეროებსაც. ზოგადად, ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად საჭიროა კომპეტენციები, რომლებიც გათვალისწინებულია ბლუმის ტაქსონომიის პირველი 3 დონით.

სამაგისტრო პროგრამები მენეჯმენტში უზრუნველყოფს მენეჯმენტთან დაკავშირებულ სიღრმისეულ და სისტემურ კომპეტენციებს და კვლევის მეთოდების სწავლებას, რაც სადოქტორო პროგრამებზე ჩასაბარებლად მომზადებასაც ითვალისწინებს. სამაგისტრო პროგრამები ორიენტირებული უნდა იყოს ლიდერობის უნარის განვითარებასა და სტუდენტების მომზადებაზე მენეჯერულ ფუნქციებთან მიმართებით, რაც ბლუმის ტაქსონომიის მე-4 და მე-5 დონეებით გათვალისწინებულ კომპეტენციებს მოითხოვს.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია მახასიათებლების განსაზღვრა არა სასწავლო რესურსებთან, არამედ მოსალოდნელი სწავლის შედეგების მინიმუმთან მიმართებით, რომელიც დოკუმენტის III ნაწილშია მოცემული. უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს შესაბამის სფეროებში სათანადო კომპეტენციების დაუფლებას. სასწავლო პროგრამის კურსი შესაძლებელია, ერთდროულად, ცოდნის რამდენიმე სფეროს ეხებოდეს. მაგალითად, სტატისტიკისა და მათემატიკის კურსები,

ჩვეულებრივ, ბევრ სფეროს ემსახურება. იგივე შეიძლება ითქვას ინგლისური ან სხვა უცხოური ენის კურსზეც, რომელიც მენეჯმენტის ზემოხსენებულ სფეროებთან მიმართებით დამხმარე ხასიათის მატარებელია, რადგან უცხოური ენის ცოდნა აუცილებელია ბევრ ორგანიზაციასა და აკადემიურ სფეროში აქტიური საქმიანობისათვის.

მენეჯმენტში აკადემიური ხარისხის (ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი) მოსაპოვებლად საჭიროა კომპეტენციების მინიმუმ 50%მენეჯმენტის სფეროდან იყოს ათვისებული, ხოლო დანარჩენი 50% შესაძლებელია იყოს გამოყენების სფეროსთან დაკავშირებული კომპეტენციები ან/და ზოგადი კომპეტენციები.

III. სწავლის შედეგები

დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შექმნა/განვითარებისკენ, რომლებიც სტუდენტს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) სწავლის დასრულებისას. დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის შედეგები მოიაზრებს მინიმალურ მოთხოვნებს. უსდ-ს შეუძლია, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით სხვა შედეგებიც განსაზღვროს.

3.1 ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგსტუდენტი:

1. აცნობიერებს მენეჯმენტის თანამედროვე თეორიებსა და ორგანიზაციულ გარემოზე მოქმედ ფაქტორებს;
2. აღწერს ბიზნეს და ეკონომიკურ გარემოს, მათში მიმდინარე მოვლენებს, პროცესებსა და ახდენს მათ ინტერპრეტაციას;
3. ორგანიზაციის რესურსების მართვისთვის იყენებს შესაბამისინფორმაციულ ტექნოლოგიებს;
4. აგროვებს და ამუშავებს მონაცემებს ორგანიზაციის შიდა და გარე გარემოს შესახებ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით და წარმოადგენს დოკუმენტურად;
5. პროექტების, ოპერაციების და სტრატეგიების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში მუშაობს ინდივიდუალურად ან გუნდში მასზე დელეგირებული ფუნქციამოვალეობების ფარგლებში და იცნობსპროფესიული ეთიკის მოთხოვნებსა და პასუხისმგებლობის პრინციპებს;

6. ასრულებს ძირითად მენეჯერულ ფუნქციებს (დაგეგმვა, ორგანიზება, კოორდინაცია და კონტროლი) და გადაწყვეტილებების მიღებისას ხელმძღვანელობს ეთიკური პრინციპებით;
7. ბიზნესგარემოში იყენებს კომუნიკაციის შესაბამის საშუალებებსა და უნარებს;
8. იღებს პირად პასუხისმგებლობას სწავლაზე, განსაზღვრავს სფეროებს, რომლებშიც ესაჭიროება შემდგომი განვითარება და დამატებითი ცოდნის დამოუკიდებლად მიღება;
9. მონაწილეობს გუნდის შექმნასა და გუნდურ მუშაობაში, აღიარებს სხვა ადამიანების წვლილს.

3.2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

მენეჯმენტის სწავლის სფეროს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:

1. იყენებს კომუნიკაციის და ლიდერულ უნარებს გუნდისა და ორგანიზაციის დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობების მართვისთვის;
2. აფასებს და აანალიზებს ბიზნესპროცესების უწყვეტი განვითარების, რისკების, დანახარჯისა და სარგებლის ასპექტებით და იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს;
3. შეიმუშავებს ბიზნეს სტრატეგიებს, პროექტებს და ორგანიზებას უწევს მათი დანერგვის, განხორციელების, მიმდინარე კონტროლისა და შეფასების პროცესს;
4. შეიმუშავებს და კოორდინაციას უწევს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ პროცესებსა და პროცედურებს;
5. ორგანიზაციაში მათი თანამედროვე გამოწვევების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ახდენს გარემო ცვლილებების იდენტიფიცირებას, ინოვაციური და შემოქმედებითი მიდგომებით არგუმენტირებულად წარადგენს საკუთარ მოსაზრებებს დაინტერესებულ მხარეებთან;
6. აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით, თანამედროვე მიდგომების გამოყენებით, დამოუკიდებლად წარმართავს კვლევას და ახდენს შედეგების არგუმენტირებულად დემონსტრირებას დაინტერესებულ მხარეებთან.

IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდები დოკუმენტურად ფორმდება, საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისათვის და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს ეფუძნება.

სწავლებისა და შეფასების მეთოდები უნდა პასუხობდეს ზოგად მიზნებსა და სწავლის შედეგებს, ხელს უნდა უწყობდეს სპეციფიკური მასალის ათვისებასა და სტუდენტის ტრანსფერული უნარების განვითარებას. სწავლება-სწავლის მეთოდები და მათ მისადაგებული შეფასების ფუნქციები და კრიტერიუმები სტუდენტს სწავლის შედეგებისა და დარგობრივ მახასიათებელთან ზოგადი შესაბამისობის დემონსტრირების საშუალებას უნდა აძლევდეს. აღნიშნული უნდა მოიცავდეს საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტებთან სიღრმისეული უკუკავშირის ვალდებულებასა და შესაძლებლობას სამომავლოდ მათი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების სრულყოფის გზებთან მიმართებით.

სწავლების, სწავლისა და შეფასების ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდები სწავლა-სწავლებისა და შეფასების ყველაზე გავრცელებული ფორმებია, თუმცა სასწავლო პროგრამით შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი და, აგრეთვე, სხვა მეთოდები. ნებისმიერ შემთხვევაში, უსდ-ები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების გადახედვა-განახლებაზე, სწავლებისა და შეფასების საუკეთესო პრაქტიკისა და მენეჯმენტთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარების მხრივ არსებული მიღწევების გაზიარება/დანერგვის გზით.

სწავლების გავრცელებული მეთოდები მოიცავს (ერთი მხარის მონაწილეობით) ლექციებსა და მეცადინეობებს, მათ შორის, ონლაინრეჟიმში, და სწავლებას ორივე მხარის მონაწილეობით, როგორცაა: სემინარები, სამუშაო ჯგუფები, პროექტებსა და პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, მიმოხილვითი კურსი,შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი და სწავლების სხვა ფორმები (მაგალითად, შერეული ტიპის მეცადინეობა). გარდა ამისა, გასათვალისწინებელია კონსულტაციები, პროფესიული პრაქტიკა (მაგალითად, ინტერნატურა) და პრეზენტაციები.

სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, როგორცაა: წიგნების/სახელმძღვანელოების დამოუკიდებლად დამუშავება/განმარტება/ინტერპრეტირება, პრაქტიკული მაგალითები, ზეპირსიტყვიერი პროფესიული ანგარიშის შედგენა, შეკითხვებზე პასუხების მომზადება, წერილობითი დავალებების შესრულება, კვლევითი ნაშრომის დამოუკიდებლად მომზადება ხელმძღვანელის მითითებების საფუძველზე, ნაშრომის/პროექტის/თეზისის დამოუკიდებლად მომზადება და სწავლა პრაქტიკული სამუშაოს შესრულების გზით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს სტუდენტის მიერ საკუთარი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების რეგულარულად გამოყენების შესაძლებლობებზე. ეს მიდგომა უნდა ითვალისწინებდეს სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას სასწავლო პროცესში და მის მიერ თეორიის პრაქტიკაში გამოყენებას, რეალური ან რეალურთან მიახლოებული სიტუაციებისა და შემთხვევების ანალიზს. პასიური ჩართულობა სასწავლო პროცესში (მაგალითად, ლექციებზე დასწრება) არასაკმარისია, როგორც სწავლების ძირითადი ან ერთადერთი ფორმა.

სწავლება-სწავლისათვის გამოყენებული ღონისძიებები ერთმანეთს სრულყოფს და კვეთს. სასწავლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შეუძლია მრავალი განსხვავებული მეთოდით იხელმძღვანელოს. სასწავლო პროგრამის კურსების ფარგლებშიც გათვალისწინებული უნდა იყოს მეთოდების, განსაკუთრებით, თანამშრომლობითი მეთოდების, სახესხვაობის გამოყენება, რაც სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში აქტიურად გამოყენებას მოითხოვს.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებიც მრავალგვარია და მოიცავს ზეპირსიტყვიერი ანგარიშის, დებატებში/დისკუსიებში/პროფესიული ხასიათის დისკუსიებში მონაწილეობის, მშობლიურ ან უცხოურ ენაზე ჩატარებული საჯარო პრეზენტაციების, კვლევითი ნაშრომებისა და გამოცდების საფუძველზე ინდივიდუალურ შეფასებას, თანამშრომლობით მეთოდებსა და ჯგუფურ შეფასებას, აგრეთვე, კრიტიკული და კონსტრუქციული ხასიათის შენიშვნებსა და კომენტარებს სხვა სტუდენტების მიერ მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით.

შეფასებაში, სათანადო შემთხვევებში, რეკომენდებულია გარე გამომცდელების ჩართულობა (მაგალითად, სხვა ფაკულტეტის პროფესორა).

V. დამატებითი ინფორმაცია

დამატებითი რესურსის არსებობის მიზნით, სამუშაო ჯგუფმა, ბლუმის ტაქსონომიის დონეებზე დაყრდნობით, შეიმუშავა კომპეტენციების ცხრილი თითოეული საფეხურისთვის.

მოსალოდნელი სწავლის შედეგების დონეები განსაზღვრულია ბლუმის კომპეტენციების ტაქსონომიის შესაბამისად, დამახსოვრების, გაცნობიერების, გამოყენების, გაანალიზების, შეფასების, შექმნის ჭრილში და ასახულია ცხრილი 1-ში.

დამახსოვრება	გაცნობიერება	გამოყენება	გაანალიზება	შეფასება	შექმნა
1	2	3	4	5	6

ცხრილი 1: ბლუმის კომპეტენციების ტაქსონომია

მოსალოდნელი კომპეტენციები ბლუმის ტაქსონომიის დონეების მიხედვით მენეჯმენტის მიმართულების შესაბამის სფეროში საბაკალავრო საფეხურზე:

მიწოდების ჯაჭვი	<ul style="list-style-type: none"> საკვანძო ბიზნესპროცესები ინფორმაციის, კაპიტალისა და რესურსების ნაკადები კომპანიისა და მიწოდების მთლიანი ჯაჭვის ფარგლებში (მიმწოდებლიდან მომხმარებლამდე) ინფორმაციის მართვის სისტემები 	3
მარკეტინგი	<ul style="list-style-type: none"> მარკეტინგის პრინციპები 	3
ფინანსები და აღრიცხვა	<ul style="list-style-type: none"> ბუღალტრული აღრიცხვის სისტემები და სტანდარტები, კონსოლიდირებული ანგარიშები ხარჯების ან/და მენეჯერული აღრიცხვა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტული პროგრამული უზრუნველყოფის აპლიკაციები ფინანსური რესურსების წყაროები და მართვა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლები 	3
ადამიანური რესურსები	<ul style="list-style-type: none"> კადრების აყვანა, ადამიანების მართვა სამუშაო ადგილზე, პერსონალის განვითარება, დათხოვნილი კადრების შრომითი მოწყობა 	3
შიდა და გარე გარემო	<ul style="list-style-type: none"> ბიზნესგარემოს ანალიზი 	4
კვლევა და განვითარება	<ul style="list-style-type: none"> რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები აკადემიური წერა ინოვაციური პროცესები, მეთოდები, პროდუქტები მათი გამოყენების და მართვის საფუძვლები 	3
მართვა და ორგანიზაცია	<ul style="list-style-type: none"> მართვისა და ორგანიზაციის თეორიები პროექტების მართვის საფუძვლები მცირე და საშუალო საწარმოთა სპეციფიკა და მათი მართვის საფუძვლები 	3

მოსალოდნელი კომპეტენციები ბლუმის ტაქსონომიის დონეების მიხედვით მენეჯმენტის მიმართულების შესაბამის სფეროში სამაგისტრო საფეხურზე

ლიდერობა	<ul style="list-style-type: none"> • გუნდის მართვა, თვითმართვა 	5
კონტროლი	<ul style="list-style-type: none"> • ფინანსებსა და ოპერაციებზე ორიენტირებული მენეჯმენტის კონტროლის სისტემები 	5
მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი	<ul style="list-style-type: none"> • კორპორაციული დაგეგმვა და ბიზნესპროცესები • ინფორმაციის, კაპიტალისა და რესურსების ნაკადები კომპანიისა და მიწოდების მთლიანი ჯაჭვის ფარგლებში საერთაშორისო კონტექსტში • ხარისხის მართვა • ინფორმაციის მართვის სისტემები 	5
მარკეტინგის მენეჯმენტი	<ul style="list-style-type: none"> • სტრატეგიული და საერთაშორისო მარკეტინგი • მარკეტინგის კონცეფციები • მომხმარებლებთან ურთიერთობის მართვა 	5
ფინანსური მენეჯმენტი	<ul style="list-style-type: none"> • კორპორაციული ფინანსები • კაპიტალისა და ფულადი ბაზრები 	5
ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	<ul style="list-style-type: none"> • მრავალფეროვნება, სამუშაო გარემო • პერსონალის განვითარება 	5
მენეჯერული კვლევის მეთოდები	<ul style="list-style-type: none"> • მოწინავე რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდები 	5
სტრატეგიული მენეჯმენტი	<ul style="list-style-type: none"> • ბიზნეს და კორპორაციული სტრატეგია • ცვლილებების მენეჯმენტი (ორგანიზაციული და კორპორაციული სტრატეგიის ცვლილებების მომზადება და განხორციელება) • კორპორაციული მმართველობის სტრატეგია 	6
პროექტების მართვა	<ul style="list-style-type: none"> • პროექტების მარვის ტექნოლოგიები, ინსტრუმენტები და მეთოდები • გუნდის მართვა • ინოვაციური პროცესებისა და ცვლილებების მენეჯმენტი 	6

	(ბიზნესპროცესები, ნაწარმისა და ორგანიზაციული ინოვაციები)	
რისკებისა და კრიზისების მართვა	<ul style="list-style-type: none"> შიდა და გარე რისკების (მათ შორის, საერთაშორისო ბიზნესგარემოს) მართვა 	5

VI. წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის შემუშავებაში მონაწილე პირები

დამმობილების პროექტის ექსპერტები

1. ენ ლისტრა, დამმობილების პროექტის ექსპერტი, ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი
2. სალომე ვირკუსი, დამმობილების პროექტის ექსპერტი, ესტონეთის კვალიფიკაციების სამსახური
3. ანდრეას კნორი, დამმობილების პროექტის ექსპერტი, გერმანიის ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი

დაინტერესებული მხარეები

1. თენგიზ თაქთაქიშვილი - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი - სეუ;
2. ლალი ჩაგელაშვილი - გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი;
3. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი
4. ეკატერინე ნაცვლიშვილი - ევროპის უნივერსიტეტი;
5. მაკა ბულულაშვილი - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
6. ერმილე მესხია - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
7. ციური დურული - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი;
8. თამთა ვაშანიძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
9. ნინო ენუქიძე - შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი;
10. გიორგი კეპულაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი;
11. მურთაზ კვიციანი - შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი;
12. მედეა ტაბატაძე, საკონსულტაციო და რეკრუტინგული კომპანია „ინსორსი“;
13. ნინო პატარაია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;

14. ნინო დამენია - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი;
15. გიორგი წილოსანი - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტი;
16. დავით ტეფნაძე - საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი;
17. ლევან ბარამიძე - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.